



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16259-02
31/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული
კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.


დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

მამუკა აბულაძე

საკრებულოს წევრი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

- საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: **მამუკა აბულაძე**
- საანგარიშო პერიოდი: 01.11.2018 – 01.11.2019
- თანამდებობა:
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი
 - საკრებულოს ფრაქცია „რუსთავის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე
- კომისი(ებ)ის დასახელება:
- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი;
 - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
- დროებითი სამუშაო ჯგუფი:
- რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 16 სხდომა

ბიუროს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა

ბიუროს სხდომებზე დასწრება: 6 სხდომა

❖ საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

74 დადგენილება;

162 განკარგულება;

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) კომისიები:

- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია
ჩატარდა - 19 სხდომა.

- სოციალურ საკითხთა კომისია

ჩატარდა - 9 სხდომა

ბ) დროებითი სამუშაო ჯგუფები:

რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

ჩატარდა - 4 სხდომა

❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტი“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

სისტემატიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, იკვეთებოდა მათ პრობლემები და მუშავდებოდა გადაჭრის გზები. ამომრჩევლის მოთხოვნებისა და ინიციატივების გათვალისწინებით, უთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები ემსახურებოდა ქალაქის კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის მიზანს წარმოადგენდა ქალაქის იერსახის შენარჩუნება.

ვიმედოვნებ, რომ მიმდინარე წლის გამოცდილებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები შეძლებენ, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით უფრო ეფექტურად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

მომავალში ვაპირებთ, აქტიურად ჩაერთოს ფრაქცია „რუსთავის განვითარებისათვის“ ქალაქისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებასა და განხილვაში. ვიმედოვნებ, უფრო აქტიურ რეჟიმში გავაგრძელებ მუშაობას და მიღებული გამოცდილება მომავალი წარმატების საწინდარი იქნება.